გამომცემლობა ალექსანდრე გრიგოლის ძე უგუზოვისა. № 3.

მზე და აკაკი

წერილები მ. გ. ჯანაშვილისა.

თ ბ ი ლ ი ს ი.
სტამბა „შორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1.
1915 წ.

მზე

———

საზოგადო ნი შნები

ღვთის დიდებული ქმნილებაა..

მოკლე სახელი აქვს და დიდი მნიშვნელობა.

უმისოდ ცხოვრება არ იქნებოდა. წამსვე ყოველივე დაიზროდა, გაიფიჩხებოდა. არა თუ გაშეშდებოდა, გაიყინებოდა, ვინ იცის, მთელი სამყარო რად იქცეოდა, მტვრად, თუ რაიმე უცნობ ნივთიერების გუნდად.

მზე სიცოცხლის წყაროა. იგი ძლიერებაა: აჩენს, აღორძინებს, ჰკლავს, ამწვანებს, აბიბინებს, აყვითლებს.

მზე სამყაროს სასწორია. ვით სასწორის ახრა-დახრით ჩნდება სისწორე, ისე მზის ასვლა-დასვლით მყარდება მსოფლიოს შეურყეველი მიმზიდველობა.

მზე მართლმსაჯული მიმცემია: „ვარდთა და ნეხვთ" სწორად მიეფინების.

იგი აჩენს წელიწადს და მასში სამს ჟამს, არეს.

გა-ზა-ფხულს [1]) მწვანილოვანს (თებერვალი-მაისი),

ზა-ფხულს ოქროფეროვანს (ივნისი-სეკდემბერი),

ზა-მთარს [2]) თოვლიანს (ოკტომბერი-იანვარი).

ზღვიდან ამოაქვს წყალი ორთქლის სახით, გადააქვს ყოველმხრივ, აწვიმებს, რწყავს არემარეს, ახარებს ქვეყანას.

გაშორებულს ვნატრობთ, რადგან გვყინავს, მოახლოვებულს ვაქებთ, ვადიდებთ, რადგან გვათბობს.

---

[1]) სვან. **ზა** – წელიწადი.

[2]) **ზა-მთირი** წელიწადი თოვლიანი (თირი-თოვლი).

– 4 –

მისი საყდარი იყო მცხეთას, არმაზში.

აქ სუფევდა მზე-ღმერთის ქვეყნიური ნიში, მეომრის მსგავსი, ჭაბუკი, მუზარადოსან-ჩაფხუტოსანი, სამხრე სამკლავეებიანი, ამოღებულ ხმლით ხელში, ბრწყინვალე ბივრიტის თვალებიანი [3]).

ოქროსებრ ელვარებდა მთელი მისი არსება. გამომეტყველება ჰქონდა ალერსიანი.

ანდალმა მისი აღმართულიყო არმაზის წყლის ღრმა ღელის შუა კვერცხივით აბურცებულ გორაკის მწვერვალზე.

აქედან ჰპატრონობდა იგი მთელს საქართველოს. ვაი მის მტერს, რომელიც გაბედავდა ქართვე ლის დაჩაგვრას. მიუსევდა მხედრობას და შემუსრავდა.

ხუმრობა საქმე არ იყო მისი აყოლა:

აკი ამ აყოლისთვის ქალდეველთ ღმერთ ითრუშანს თავზე კაკალი დაამტვრია: „მასზე ზღვა მოაქცია" [4]).

ძლიერი იყო არმაზი (მზე) ვიდრე ღმერთობდა.

პირნათლად უძღვებოდა თავისს მოვალეობას და სახელოვანად ახელმწიფებდა თავისს საქართველოს.

მეფობდა ერი თავისუფლად, ტანში მაღლა აღმართული და არა წახრილი, თავჩაქინდრული.

წადრეკა, თავჩაქინდრულობა მონა ერის წესია.

---

[3]) შატბ. ქრონ., გვ. 21: „ვიხილე და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ და ტანსა ეცვა ჯაჭვი ოქროჲსაჲ და ჩაფხუტი ოქროჲსაჲ და სამჴარნი. ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი და ჴელსა აქუნდა ჴრმალი ლესული, რომელი ბრწყინვიდა და იქცევოდა ჴელსა შინა“.

[4]) შატბ. ქრონ., გვ. 24: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე ურთიერთას მტერ არიან: რამეთუ ამან არმაზ ოდესმე მასზედა ზღვაჲ მოაქცია და აწ მან შური იძია და მოაწია ესე ამას ზედა“.

– 5 –

მმეფობი ერი ვარსკვლავებს და მზეს ეთამეშება და ეალერსება.

დაბადება და აღზდა

პირველ ხანს ცა ისე დაბლა იყოო, რომ დედამიწაზე მდგომი კაცი ხელით სწვდებოდათო. ღმერთი მიიმართოდა ამ სივრცეში, ვით სფერო, და უვლიდა თვისს ქმნილებას.

ცხოვრობდაო მას ჟამს მნათობი, რომელსაც ორი ცოლი ჰყვანდა და ამ ქალებისაგან ორი შვილი, თითოსაგან თითო.

ესენიც მნათობნი.

წარსდგნენ ეს დედები ღვთის წინაშე და მოახსენეს:

– ქვეყანას. აკლია მზე და მთვარე. გააჩინე. მათი გაჩენით დამშვენდება არე, ქვეყანას მრავალფერობა მიეცემა, კაცი გაიხარებს, დამშვიდდება, რადგან ნაირნაირობა სიხარულია გულგამყოლებელი, ერთფერობა კი მწუხარებაა გულჩამათხრობელი.

ღმერთმა არ ინება ნათხოვნის ასრულება.

ერთი დედათაგანი დაექადა – აგასრულებინებო და ლავაშით უწმინდურობა მოხოცა თავისს შვილს, მით წაბილწა ღვთის მადლი პური.

ღმერთი განრისხდა და უთხრა იმ ორ ქალს:

– თქვენს შვილებში რომელიც დილით ადრე ადგება, ის მზედ იყოსო. და თვითონ კი დაბლა დგომა აღარ ინება, აჰკრა თავი ცას, მაღლა-მაღლა წაიღო და წავიდა...

დედები სწუხდნენ მისთვის, რომ ორივეს სურდა შვილი მზედ ჰყოლოდა: მზეობა სანატრელი იყო.

იმავე დღეს დედებმა ღმერთის პირობა შეატყობინეს შვილებს. ცალცალკე არიგებდნენ და ეუბნებოდნენ: „ეცადე, შვილო, არ შემარცხვინო, მზეობა არ დაჰკარგო, ხვალ ადრე ადექიო“.

– 6 –

დაიქადნენ, გაიბაასნენ.

ერთი ადრე პირსაღამოსვე დაწვა და ღრმა ძილს მისცა თავი.

მეორემ ლოგინში ჭინჭარი და ბირკი ჩაიყარა და ჩაწვა. ფიქრობდა: ჭინჭრისა და ბირკის სუსხი ძილს გამიფრთხობს და ჩემს მეტოქეს ვაჯობებო. მართლაც, დიდხანს ძილი არ მიეკარა, სულ ბრუნავდა, ბორგავდა, კვნესოდა სიმწვავისაგან. მაგრამ ბოლოს ბუნებამ თავისი მოითხოვა: დილახანს თვალი მიირულა, ტკბილად მიიძინა.

ყვინჩილებისა და ტოროლას გალობა-ყივილის დრო იყო, რომ პირველს გამოეღვიძა, ადგა გმირი, ხელპირი დაიბანა, ჩაიცვა ბრწყინვალე საცმელი, გადიცო სამხრეები, საწვივე, საგულე, დაიხურა ელვარე ჩაფხუტი და წავიდა მაღლა-მაღლა ქვეყნის გასაღვიძებლად.

მთელი მისი არსება ცეცხლის ბურთად იქცა. ყოველმხრივ გაფანტა განმაცხოველებელი სხივები.

ყოველი სული უკვე ფეხზე იდგა, რომ ჭინჭარ-ბირკზე მწოლარესაც გაეღვიძა და მთქნარება იწყო. მისი დედა მაშინ პურს აცხობდა. გაუჯავრდა მცონარს და ცომიანი ხელი ჩასცხო. იგი მთვარედ იქცა და წავიდა ღამის გასანათებლად, მაგრამ პირის სახეზედ შერჩა ცომიანი ხელის ლაქები.

მზისა და მთვარის ურთიერთობა.

მას აქეთ შემოსწყრნენ ერთმანეთს.

თუმცა სახლი ერთი აქვთ ბჟაილას [1]), მაგრამ ერთმანეთს არას დროს არა ხვდებიან: მზე რომ ჩადის, მთვარე ამოდის.

მზის სახლი სპილენძისაა. აქ დედა ჰყავს, მზე რომ გა-

[1]) მეგრ. ბჟა – მზე, ბჟაილუ – აღმოსავლეთი მზვარი.

იხდის და დაწვება, ქვეყნიერებას სიბნელე ეფინება, და რომ სულ კუკუმათი არ გამეფდეს, მის საცმლის კალთის შუქი მთვარეს ეფინება და მით ანათებს.

ჭაბუკი მზე გმირულად იძინებს, მეორე დღეს კი ისევ ადრე დგება, მიდის ცა-ცა ოკეანემდის, მასში ჩადისო და ქვედა სოფლიდამ ისევ ბჟაილას უწევსო [1]).

ერთხელ მზემა და მთვარემ გახლიჩეს პირი და ერთმანეთს შორიდგან გამოელაპარაკნენ: უმზრახად ყოფნა მოსწყინდათ.

ნათელმა მთვარემა ბრძანა:

„ბევრით მე ვჯობივარ მზესა“.

დაჯდა, დასწერა წიგნები,

ზენაქარი მიათრევსა...

მზეს რო კაცი მიუვიდა,

მზე ძალიან გაჯავრდესა:

„მე და ვარ და ის ძმა არის,

რათ ვძულდებით ერთმანეთსა!“

მთვარემ შემოუთვალა:

– და ხარ, რომ დილით ჭერჭლის დამრეცხავ და ძროხების მომწველ ქალივით ადრე ადგომით ამასწარ, მანდილი ჩაფხუტად გექცა, ჩიქილა – მუზარადად, არდაგი – საგულედ, ნაწნავები – ისრებად, წახველ, მზედ იქეც და თავი ყველას ბიად და გმირად მოაჩვენე! ნამდვილად კი შენ ქალურ სიმხდალისათვის თავი ვერ დაგიხწევია: რო დაღამდება, გარეთ თავს ვეღარ ჰყოფ! შემომხედე მე, როგორ დარბაისლად, დიდებულად და გულმყარად დავსცურავ ცის სივრცეში ღამითაც და დღისითაც!

შეუთვალა: „მერე ვისთვის რა სარგებლობა მოგაქვს? მე კი ისეთი ტკბილი ვარ ქვეყნისთვის, როგორც რძე, რომე-

[1]) იხ. „საქართველო“ ნაკადულში, 1912, № 11, გვ. 45.

ლსაც ჩემივე სახელი ჰქვიან [1]). მე ქვეყნის ძიძა ვარ, მსოფლიოს მამამძუძე“.

– ეჰ, რა გელაპარაკო! გაბადრულ მთვარეს რა სჯობია?

– ბრწყინვალე მზეს?

– გაბადრულ ქალს რა შეედრება?

– მზე ჭაბუკს?

– ღამით სიარულისა გეშინიან: მხდალი ხარ!
– დღისით სიარულისა გეშინიან: მომიტაცებენო!
– კარგს იტაცებენ!
– გმირს ერიდებიან!...
ამისთანა შეკამათების შემდეგ და-ძმა შერიგდნენ და მადლიანები შეიქმნენ.

თავყვანისცემა.

ცა რომ მაღლა აიტაცა ღმერთმა და მეორე დღეს მზემ დიდებულად ამოსცურა ბჟაილიოდამ და მაღალი მთის წვერები შუქით მოალამაზა, ქვეყნიერება უჩვეულებრივოდ შეიშმუშნა, რაღაც ახალი სითბო და სიტკბო იგრნო ყოველმა არსმა და მადლობა შესწირა უფალსა.
ცხოვრება თანდათან გაცხოველდა, განაირნაირდა, გალამაზდა.
მრავალფერობამ გულგამაწყალებელი ერთფერობა მოსპო, მრავალგვარობამ გული გაახალისა, სიტკბოება დაბადა.
მადლობით აევსო კაცს მთელი თავისი არსება, თავყვანისცა და შემოჰღიღინა ტკბილი ხმით:

„მზე შინაო, მზე შინაო,
მზე, შინ შემოდიო!
შვილის მამა შინ არ არის.

[1]) მზეე=მეგრ. ბჟა=ინგლ. ზეჲ=მეგრ. ბჟა, ინგ. ხეჲ.

მზე, შინ შემოდიო!
ვხედავ ლომსა, მზის ნაშობსა,
მზე, შინ შემოდიო!
ვინ აჯობებს ვაშკაც გმირსა?
მზე, შინ შემოდიო“!

ახალი წეს-წყობილება

მზეს დაუდგეს სალოცავები ყველგან: არმაზში, უჟარმაში, აწყურს, ჭყონდიდს, ჯუმათს.
მზიან მხარედ დაისახა საქართველო. მოგზაურნი მოითხრობოდნენ:

„ქვეყანა არის მარად-მზიანი
და მასში ერი ენა-მზიანი“.

ეს ასე იყო, მაგრამ მზეს რათ უნდოდა საყდრები, სალოცავები, ის ისეც ქვეყანას უხვად უგზავნიდა წვიმას, ნათელს, სითბოს.
რა გაეწყობოდა, კაცს სულისა თავის ფარად საყდარი მიაჩნდა და ააშენა ყველგან.
ასე მიდიოდა დრო, ცხოვრება ახალ კალაპოტში იმართებოდა.

ზოგიერთგან წყლის სიმცირემ გააჭირა საქმე. მაშინ უზენაესმა დაბადა ფაზისი (რიონი). ეს ასე მოხდა:

მზეს ცოლად ჰყვანდა ოცირუა, რომელიც ოკეანეს ქალი იყო. ამისგან მზეს გაუჩნდა მდინარე ფაზისი.

ერთხელ ფაზისმა დაინახა, რომ მისი დედა ღალატობს ქმარს. მოკლა დედა და გასწია ქვეყნის მოსარწყავად [1]).

---

[1]) პლუტარხი (ჰან, 153): მდინ. ფაზისი სკვითიშია. წინად ერქვა არკტური, რადგან მომდინარეობდა ცივს ქვეყნებში. სახელი ეცვალა ამ მდინარეს ამის გამო. ფაზისმა, ძემ ჰელიოსისა (მზისა) და ოკეანეს ასუ-

შემდეგ მზემ შეამჩნია, რომ, ხშირად, ადამიანებში უთანხმოება ხდებოდა, ვერ იყოფდნენ წყალს, მიწას, საზდოს, არა ჰყვანდათ შემრიგებელი, მოთავე.

მის შვილს ჰყვანდა შვილი მზე, ამას თავისი ძე აიეთისი. ეს დაუდგინა მთავრად, მეფედ: ჩემს შვილებს მოუაროსო.

მან ააშენა დიდი ქალაქები: აია, ქუთაისი, სიბარისი. მათში მშვენიერი სასახლეები დადგა. ზაფხულობით ცხოვრობდა სიბარისში, შემოდგომას ქუთაისში, ზამთრობით-აიას.

აიეთისი ელვარებდა ვით ოკეანედამ ამომავალი მზის თვალი [1]). ბრწყინვალე მუზარადი, ჩაფხუტი და სხვა საომარი საცმელები და იარაღი ამშვენებდა მას.

მზე-ღმერთს მიეცა მისთვის ეტლი და მასში შესაბმელი რაშები, სწრაფნი, ვით ქარიშხალი.

ჩაჯდებოდა-რა ეტლში, მარცხენა მკლავზე მაგარ ფარს მოიმარჯვებდა, მარჯვენაში გმირისეულ ლახვარს იჭერდა, ეტლის კოფოზე ცხენების სამართავად ჯდებოდა მისი ძე ჭაბუკი აბსარი (აბხაზი), ეტლის წინ ანთებული კერეონით ხელში დგებოდა მხედარი, შემდეგ მეფის ნიშნებით დაიძროდა ეტლი და გაქანდებოდა ქარივით. სწრაფ მოივლიდა მეფე სახელმწიფოს და დაბრუნდებოდა შინ (ჰან. გვ. 51 და სხ.).

მოსულს სასახლის კარებთან ეგებებოდნენ ძმა პერსე, დედოფალი ჰეკატა, რომელიც პერსეს ასული იყო, შვილები ეგიალი, ცირცეა, ქალკიოპე და მედეა. მეფე მიესალ-

---

ლის ოციროისა, მოჰკლა თავისი დედა, რადგან ამან ცოლ-ქმრულ სიწმინდეს უღალატა. ამის შემდეგ ჭკუაზე შეირყა და გადვარდა არკტურში, რომელსაც მიერიდგან ეწოდა ფაზისი.

---

[1]) მზისთვალად ქართ. წიგნებში თარგმნილია ბერძნული discos (дискъ солнца).

მებოდა ყველას და სასახლისკენ გასწევდა. ყველანი მიჰყვებოდნენ.

სასახლეს ჰქონდა მარმარილოს კიბე, მაღალი კედლები,

კამაროსანი სვეტები. ზემო ნაწილს ამშვენებდა ბრინჯაოს ხვეულები და ხლართულები. კიბის ორივე მხარეს გადაჰფენოდა ვაზის ბარდანი, რომლის ჩრდილში იყო 4 აუზი: ერთში შადრევანად გამოსჩქეფდა რძე, მეორეში – ღვინო, მესამეში – სურნელოვანი მირონი, მეოთხეში – ანკარა წყალი, ცივი ზაფხულს, თბილი ზამთარში. არემარეს ატკბობდა მრავალგვარ სირთა სტვენა-გალობა (ჰან. 49, 50, 91, 198).

სასახლის მოშორებით ცალკე ფარდულში ება სპილენძის რქიანი ხარები და სპილენძის პირებიანი, რომელთაგან ცეცხლს აფრქვევდნენ. იქვე იდო ფოლადისაგან გამოჭრილი გუთანი (ჰან, 50).

ვენახით, წაბლით, კაკლით, თხილით შემკული იყო აქაურობა და მთელი სამეფოც. უფრო თვალსაჩინო ზვრები იყო ქუთაისის ბოლოს, ცირცეას ველზე.

ეს ცირცეა იყო აიეთის და. ამ ველზე მუშაობა უყვარდა. აქ აგროვებდა სხვა და სხვა ბალახებს და სამკურნალო წამლებს ამზადებდა. მას ამ საქმეში შველოდა დედოფალი ჰეკატა, აგრეთვე ცირცეა მეორე და მედეა.

პირველ ხანს სამეფოში მშვიდობიანობა იყო ძმები აიეთისი და პერსე, რომელიც მეფობდა ტავრიდას (– ყირიმს), მეგობრულად ცხოვრობდნენ. აიეთის ქალი მედეაც საბერძნეთს გათხოვდა. ამ დროს აიშალნენ ძმები. პერსე შემოებრძოლა ძმას და ტახტი წაართო. მედეა მოვიდა, დაამარცხა ბიძა და მამას ტახტი დაუბრუნა. თვითონ კი წავიდა აღმოსავლეთისკენ და ცალკე სამეფო **მედეა** დააარსა. შემდეგ ამ სამეფოს დაერქვა მისი შვილის სახელი მიდია.

მეორე თავისი ქალი ქალკიოპე აიეთისმა მიათხოვა ბერძენს ფრიქსს, მესამე – ცირცეა სკვითთა მეფეს. ეს ცირცეა,

მეტად მძლავრი იყო, აუჯანყდა ქმარს, მოჰკლა და თვითონ გამეფდა სკვითიაში.

მზე-ღმერთს სწყინდა, რომ კაცობრიობა ირეოდა და ამდენი სისხლი იღვრებოდა. ეუბნებოღა:

– რა გაჩხუბებთ, ყველანი ჩემი შვილები ხართ, ყველანი მიყვარხართ, თქვენს ქერქში დადექითო.

ვინ იყო გამგონი.

მგელი მგელს ინდობს ვიდრე გასისხლიანებულს არ ნახავს, კაცი კი კაცს არა.

კაცი კაცისთვის მგელი კი არა, მგელზედაც უფრო მგელია.

დაიწყეს წაკიდება, ცარცვა, გლეჯა, მისევა.

გაჭირდა ცხოვრება! შეიქმნა შიში, ვალალი. ასე არ ივარგებსო და იწყეს სახლ-კარის და ეზო-ყურეს შემომაგრება, შემოზღუდვა. ამანაც არ გასჭრა. ადგნენ და სასტიკი ადათები შემოიღეს, შეიბოჭნენ, შეიკრნენ.

თავისუფალნი ახლა ღობე-ყორით შეიბოჭნენ, ადათის მონები გახდნენ.

მაგრამ ყველა ამანაც ვერ იხსნა ხალხი ბოროტისაგან. ახლა დატრიალდა ქვეგუდანობა, გველაძუობა, მზაკვრობა, ცბიერება.

ნათელი ღმერთი მაღლიდგან ხედავდა ამას და ამბობდა:

– ნეტა რაზე იხოცავენ თავს, რათ იხუთავენ სულს, რათ იჭირებენ ყოფას. მიწა უხვადაა, ყველას ეყვის. ძმურად გაინაწალონ, ძმურად შეიმუშაონ, ძმურად იცხოვრონ, სიტკბოებისთვის გავაჩინე. ვით კრუხის კალთებ ქვეშ მისი წიწილები, ისე მყვანან ჩემს სინათლეში, სითბოში, სიუხვეში და იგინი კი, დახეთ, რას სჩადიან, როგორ სჩაგრავენ ერთმანეთს. როგორ არ იმეტებენ ერთმანეთისთვის მიწას, წყალს, სითბოს და სინათლეს. და არა თუ ესრე, ყველა ზვიადობს, ყველას დიდკაცობა უნდა, ზოგი იმასაც ნატრობს, რომ

უსაქმოდ და უშრომლად ქადა-ნაზუქი მიერთვას, ჭამოს, სვას, იქეიფოს, „მრავალჟამიერი“ გააბას. ხელი მივე, რომ იმუშაოს, ფეხი, რომ იმოძრაოს, ჭკუა, რომ ბრძნულად იცხოვროს, ის კი ხელს არ ამოძრავებს და თუ ამოძრავებს, მოძმის დასაჩაგრავად, მის გასაყვლეფად, დასამონებლად. მე ხომ ყველანი თანტოლ აზნაურებად გავაჩინე!

მოჰკრეს ამას ყური და შეიუბნენ: – ღმერთი დაგვსჯისო, გული რითიმე მოვუგოთო.

სურნელოვანი ბალახები და ხილი შესწირეს.

მაგრამ უზენაესს რათ უნდა ეს!

მერე დაუკლეს ნასუქი ცხვარი, პოხიერი კურატი.

მაგრამ ღმერთი ხომ სისხლის მწოვი არ იყო!

შემდეგ მოილაპარაკეს, გადასწყვიტეს:

– შვილები შევწიროთ და მით დავამტკიცოთ, რომ შვილზედაც მეტად ღმერთი გვიყვარსო!

გამჩენმა შემოუთვალათ:

– ეგ უგუნურობაა. რა ნება გაქვთ სიცოცხლე წაართოთ არსებას, რომელშიაც ჩემი ცხოველი და მარად უკვდავი სული მკვიდრობსო, კარგად და კეთილად იცხოვრეთ, ეგ იქნება ჩემი სიხარული, თქვენ-მიერ ჩემდა შემოწირული მსხვერპლიო.

მაგრამ ღმერთს არ შეუსმინეს და იწყეს ბილწი სიღოდა, ზორვა.

კაცის დაკვლა საღმთოდ.

ღმერთის ქვეყნიურ ტაძრების ღვდელმთავრად იყო მეფის მომდევნო საპატიო კაცი. მას ექვემდებარებოდა მთელი წმინდა ადგილი, საქურუმოებისა და სახატოების მოსამსახურენი. ამათგან რომელიც ქადაგად ჩავარდებოდა, ღვდელმთავრის ბრძანებით იჭერდნენ, საღმთო დადიანს (ბორკილს)

უყრიდნენ, მთელს წელიწადს ჰკვებავდნენ, მერე ღვდელმთავარი სცხებდა მირონს და სხვა ზვარაკებთან ერთად სწირავდა ღმერთს. მის ნიშნებით გარშემო მდგომ დასიდგან გამოვიდოდა მარჯვე მელახვრე და მსხვერპლად გაწირულს გულში ასობდა ლახვარს. მის წაქცევის მიხედვით ქურუმები მკითხაობდნენ: შეიწირა ღმერთმა თუ არაო. შემდეგ ყველანი მიწაზე გართხმულ გვამს ფეხს ადგამდნენ, რომ გაწმენდილიყვნენ (ჰან. 71).

ღმერთი კი მაღლიდან ხედავდა ამას და მწუხარებით იტანჯებოდა ადამიანის მოგონილ უგუნურებაზე.

უკანასკნელი წუთები მზის ღმერთობისა.

ქვეყნის დაბადებიდგანვე კაცობრიობის ერთ ნაწილს სწამდა: ახალი ღმერთი დაიბადება და თავისუფლებას მოგვანიჭებსო.

მოვიდა მცხეთაში ამბავი: აღთქმული მხსნელი ღმერთი დაიბადაო.

ქადაგებსო სიყვარულს, მაღალთა შინა დიდებას, ქვეყანასა ზედა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას.

ტანჯულთა, მაშვრალთა, დამცირებულთა, ღარიბ-ღატაკთა მეგობარიაო და მფარველი.

– მეო, უპასუხა მოამბეებს მზე-ღმერთმა, სწორად ვზრუნავ ყოველის არსისთვის, ხილულისა და უხილავისთვის. ჩემი სიყვარული ერთნაირად ეფინება მინდვრის მცირე შროშანსაც, კაცსაც და ყოველს ციურს სფეროსა და მნათობს. თანასწორობა სამყაროს მოძრაობაში ჩემით არსებობს, ჩემით მტკიცობს. ჩემი ბრალი არ არის, რომ თვით კაცებმა მოიგონეს ერთურთის დამცირება, დაჩაგვრა, შუღლი და მტრობა, შვილების დაკვლა და სისხლის ღვრა. მე განათებ და მსურს მთელი კაცობრიობაც განათლდეს, სიყვარულში ისატფუროს.

ვერავინ პასუხი ვერ გასცა, ვიდრე არ მოვიდა კათბადუკიელი ქალწული, განთქმული მკურნალი და მეცნიერი.

მან ჰკითხა რიხიანად:

– შენ, არმაზ ღმერთო, მართალია ანათებ, ათბობ, აღორძინებ, აბიბინებ, მაგრამ ვისის ნებით, ვინ მოგცა შენ თვითონ ეგეთი ძლიერება?

– თვით ჩემ არსებაშია ეგ ძლიერება, მიუგო არმაზმა.

– ყური დამიგდე. ყოველიფერი: – ცა, დედამიწა წყალი, ქარი, მნათობნი, კაცი, მცენარე და სხვა ცხოველები გააჩინა უხილავმა დამბადებელმა ღმერთმა, რომელიც ზენა არსთა არს და უჭირავს სამყარო თვისის ძლიერებით და უკვდავებით. ის თვითონ არის მიუწდომელი ნათელი, ღმერთი ღმერთთა და უფალი უფალთა. მან თვითონ გააჩინა ნათე-

ლი. ღმერთი ნათელ არს და არა არს ბნელი მისთანა არცა ერთ.

მზეს სურდა სიტყვა მოეჭრა შეკითხვით: მე კი ნათელი არა ვარო, მაგრამ ქალწულმა აღარ დააცალა, განაგრძო:

– შენ თითქო გეცინება. ღმერთი ნათელ არს, შენ კი დრო გამოშვებით ბნელდები. რასაც სიბნელე ახლავს, ის ღმერთი არ არის. შენი დაბნელება თავზარს სცემს ყველას. ჭეშმარიტი ღმერთი კი ბძანებს: მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი მოვიდეს ჩემდა, დაიმკვიდროს ნათელი. ღმერთი თვით შვენიერება და თვით ელვარე არს, გამობრწყინდა ნათელი, რათა განაქარვოს ბნელი კერპთ-მსახურებისა. ნათელი ღმერთი ძველის და ახალის აღთქმის შუა მდგომელი არის, საზღვარი ძველსა და ახალს ცხოვრებას შორის. მისგან არის სიმაღლე ცისა, სინათლე მზისა, სიღრმე ზღვისა და საძირკველნი მისნი, სივრცე ქვეყნისა და საფუძველნი მისნი. მისგან არიან ქუხილნი ჴმითა ჰაერისაჲთა, მიწის ძვრა, მეხის ტეხანი. მის ბრძანებით შეიძვრის-რა ვეშაპი დიდი, რომელ არს

ზღვასა, შესძრავს მთელს ქვეყანას [1]), ასე რომ ირღვევიან მთანი მყარნი, კლდენი უღაღნი.

მზემ ხმა არ გასცა, მხოლოდ თავისთვის წაიბუტბუტა:

– უმზეოდ სიცოცხლე შესწყდება!

არმაზის გორაზე.

მცხეთა, რომელშიაც 30,000 მკვიდრი იყო, გაივსო შორიდგან მოსულ მლოცველებით.

სიმჭიდროვისა და უალაგობისა გამო მრავალნი მტკვრის ნაპირებზე დაბინავებულან.

მცხეთიდგან ბრატმან მეფის საჩრდილობელ აკაკამდის ტევა აღარ არის. ბევრნი თვით არმაზის-წყლის ღელესა და გორაკებზე შეფენილან.

ყველგან კარვებია, ურმები, სამსხვერპლო ზვარაკები, კურატები.

ხვალ, ექვს აგვისტოს არმაზის დღეობაა.

ხალხი შეჯრილა მის სალოცავად.

საერთო ღამისთევაა. აქა-იქიდან მოისმის წინწილის, სტვირის და ფანდურის ნაზი წკარუნი, გალობა-სიმღერის გამოძახილი, დიდი ღრეობა.

ხიდის ყურზე დგას შვენიერი ქალწული, ათვალიერებს იქაურობას გულზე პირჯვარს ისახავს და რაღაცას ბუტბუტებს ლმობიერად...

გატყდა ღამე, გათენდა.

ის იყო მზემ ამოაშუქა, რომ გაისმა ხმა შიკრიკებისა:

– გზა! მეფე გამობრძანდება.

ეტლით გაიარა დედოფალმა მრავალ სეფე ქალების თან ხლებით. ერი გზას ყვავილებით უფენდა, დაბლა თავს უხ-

რიდა.

---

[1]) შატბ. ქრ. გვ. 38.

– 17 –

მერე გამოჩნდა ეტლითვე მეფე, ხალხმა თავი მოუდრიკა, ყვავილებით შეუმკო გზა-კვალი *) და შესძახა:

– გაგიმარჯოს ჩვენს მეფეს!

– დიდება ჩვენს ღმერთს არმაზს!

– ყველანი გაემართნენ არმაზის ტაძრისკენ.

შვენოდა იქაურობა,

აბიბინებულ იყი დილის მზის სხივებით.

მთელი ეს ერობა ავიდა მაღლა.

გორის წვერზე ბრწყინავდა მზე-ჭაბუკი.

ეს იყო თვით ღმერთი არმაზი.

უფროსი ქურუმი ლოცავდა ერს, საღმთოებს ბუწუწს უტუსავდა და დასტურებს ანიშნებდა: წაიყვანეთ, დაკალითო.

მეფე, დედოფალი და სასახლის დასი იქვე იდგნენ, არ-მაზის წინაშე.

დამწყალობლება რომ დასრულდა, ღვდელ-მთავრის ნიშ-ნებით არმაზის წინ მუხლზე დაცვივდნენ ყველანი საერთოდ სალოცავად.

ვერც კი მოესწროთ კარგად მუხლის დადგმა ნიადაგზე, რომ სასტიკად დაიჭექა. ჩამობნელდა. საშინელი გრგვინვა გაისმა. მოჰბერა ძლიერმა ქარიშხალმა. ცამ პირი ჰქმნა, და-ასხა კოკისპირული წვიმა და მერე წამოვიდა გრიალით ქათ-მის კვერცხის ტოლა სეტყვა.

---

*) შატბ. ქრ. 20: ხვალისაგან იყო §მაჲ ოხრისაჲ და საყვირისაჲ, და გამოვიდოდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილოსანი, ზარნი და საში-ნელებანი გამოვიდოდეს. ხოლო მეფე არღასადა შეძრულიყო. და ვითარცა ჟამსცა ჟამმან, სივლტოლაჲ და მიდამომალვაჲ იყო ყოვლისა კაცისაჲ, და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშჱ, რამეთუ გამოსადმე ვი-დოდა ნანა დედუფალი, და ვითარცა განვლო ნანა დედუფალმან, მაშინღა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი. და შეამკვეს ფოლიცი ყოვე-ლი სამოსლითა თითო პირითა და ფურცლითა და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა. და მაშინ გამოვიდა მირეან მეფჱ თუალთ შეუდგამითა ხილვითა“.

– 18 –

რასაც ხვდებოდა კოხი, ყოველივე ილეწებოდა, იმუს-რებოდა,

თავზარ დაცემული ერი მსწრაფლ მიიფანტ-მოიფანტა*). ზოგი შეცვივდა იმ ნაპრალში, საცა იდგა კათბადუკიელი ქალწული, რომელიც ხელაპყრობილი და შუქმიფენილი ლოცულობდა მხურვალედ:

– ღმერთო, გონს მოიყვანე ერი, რომელიც თავი-სივე ხელით გაკეთებულს ღმერთად სთვლის და მას თავყვანს სცემს.

ქალწულს ჯერ არც კი დაეთავებინა ეს ლოცვა, რომ არმაზ-ღმერთს შიგ ქოჩორში მოხვდა ციდგან მოვლენილი მეხი. იგი დაგორდა დაბლა და დაიმსხვრა ხევში.

ზეციდგან მოისმა ხმა: „დაგორდა ყრუ და გამოუსადეგარი კერპი, საქართველოს სიმტკიცე კი ისევ აქა ვარ, ცხოველი ღმერთი“.

ღრუბელი გაიპო.

ბრწყინვალე მზემ გაანათა არემარე.

---

*) და ვითარცა წამისყოფა“ თუალისაჲ იყო, დასავლით ჰაერნი და ქარნი შეიძრნეს და ჴმა სცეს ქუხილთა ჴმითა საზარელითა, და აჩნდა ღრუბელი მოწრაფწ, ნიშან საშინელი, და მოიღო ნიავმან მზის დასავლისამან სული ჯერკუალი სიმწარისაჲ და სიმყრალისაჲ. მაშინ ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად, და ეცა მათ დროჲ, რათა შეიჭრნეს კაცნი საყოფლად და მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი და მოიღო სეტყუაჲ ლიტრისა სწორი მას ადგილსა ოდენ, და დალეწნა კერპნი იგი და დაფქვნა, და დააწულილნა, და დაარღვივნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან და შთაყარა იგი კლდესა“. (შატბ. ქრ., ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 23).

აკაკი

მზე აღარ მზეობს ჩვენთანა,
დარი არ დარობს დარულად...
შოთა.

აღარა გვყავს დიდებული აკაკი... ჩვენთვის იალბუზზედაც უდიდებულესი... იმ იალბუზზედ, რომლის შესახებ გადმოცემა გვაუწყებს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა:
ციდან ჩამოესმა რეკა:
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“...

აღარა გვყავს ტკბილი, ახოვანი... გამოგვეთხოვა საუკუნოდ მოძღვარი ძლიერი... მასწავლებელი ერისა, მატარებელი და მატფურებელი მის უკეთეს სწრაფვისა, გულისნადებისა გარდაგვეცვალა.

გარდაგვეცვალა, ესე იგი ხორციელობა გარდაიცვალა სულიერობაზედ.

აწ ჩვენთან იქნება ისევ ის აკაკი, მარად მოღიმარი, მარად მოალერსე, მარად გულკეთილი, მაგრამ არა ხორციელად, არამედ სულიერად. თვითონ მან დაიძინა, მიირულა შვენიერად, ტკბილად. თავის მაგიერად ჩვენდა მოსაუბრედ დაგვიტოვა „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“, „გლეხის გოდება“, „ბაგრატ-დიდი“, „ქართველი ქალი“, „ახალი გზა“, „აღმართ აღმართ“, „მუხამბაზი“, „გამოფხიზლება“... ესენი

ჩვენ ცხადად გვეუბნებიან:

– „ვერ დავაგდეგ ძველსა გზასა, გინდა იყოს ეკლიანი:

ვიცი, სხვებიც მომყვებიან... და თუ ვინმემ გადუხვია და გადასდგა, მრუდედ ფეხი, გაუსქდეს მას დედამიწა და დაეცეს თავზედ მეხი|“.

– „აზრებით მტრულს, ძმის დამჩაგვრელს მრუდე ჰქონდა გზა და კვალი და რაც სთესა სიცოცხლეში, ამოვიდა ვით ეკალი“.

– „კრულია მისი ხსენება, ვინც დაჰგმობს დედა ენასა; თვის ტომს ღალატობს და მითი თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა“.

– „არიან ჩვენში დღეს სწავლულები: შორიდან თუ-მცა ბევრს გვინათებენ, მაგრამ ახლოს კი დალოცვილები, როგორც ფუტურო, ვერას გვარგებენ".

– „ვფიქრობდი: ვნახავ სწავლულსა შვილსა, არა ვზო-გავდი იმის ზრდაში ფასს! და რა უქნია ამ დალოცვილსა? დღისით და ღამით ყვირის „ვისტ“! ან „ფას“!

– „კაცობრიობის სინიდისს აბა რა მოუმატია? ადრინ-დელ ბარბაროსობას დღეს ჰქვია დიპლომატია!.. სჯულის ფიცარი გაფხიკეს, ზედ მცნება აღარ სწერია, და ისტორია ჩვენ დროში მეჭორე დედაბერია.

– კმარა, რაც დღემდის-ახლად და ძველად-გადაგვხდო-მია დიდი საბრიყო; აწ კი დრო არის, რომ დროს შემცვ-ლელად მოგვესმას ჩვენში ერთი:... ყიყლიყო"!

– გზად და ხიდად დამიგია
ცხოვრებისა ჩემის კვალი
და ოცნებით დამისახავს
ტკბილ მეგობრად მომავალი!“

ამ მომავლისთვის ერთნაირად ღაღადებდნენ
    საღმთო შოთა,
    დივით გურამიშვილი,
    ჭაბუკი ბარათაშვილი,

    დიდი ილია ჭავჭავაძე,
    უკვდავი აკაკი.

წარსულ საუკუნის 60-იან წლებში ილიამ, აკაკიმ, ღო-ღობერიძეებმა, კირილე ლორთქიფანიძემ, ნიკო ნიკოლაძემ და სხ., ჯერ ისევ ახალგაზრდა სტუდენტებმა, გამოაცხადეს გეგმა თავის ცხოვრებისა – „სტუდენტების სიმღერა", შე-თხუზული ილიას მიერ.

„დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო:
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო;

ლხინში მოლხინეს მოვულხენთ,
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა
ბრძენს არც ჩვენ დავუვარდებით,
დიდს არ გავექელვინებით
და მხარს მივსცემთ პატარასა,
მტყუანს გულდაგულ დავხვდებით,
მტლად დავედებით მართალსა;
წინ წასვლაში არ დავიხევთ,
არ გავწირავთ უკან შთომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
უღონოსა და დავრდომილს;
უანგაროდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნენ გზად და ხიდად.
მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს გულსა,
რომ ყოველგან გამოვადგეთ
ჩვენს საყვარელსა მამულსა.

– 22 –

ეგრე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო,
თუ დედამ შვილი გაზარდოს, –
ემაგრე ჩვენისთანაო“.

წმინდად აასრულეს ის, რისთვისაც „ზრდიდნენ ჭაბუკს გულსა“. ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი... მუშაობდნენ დაუცხრომლად ერთად საქართველოს დიდ მაკურთხევლის გაბრიელის თანაშემწეობითა და დახმარებით.

დღეს აღარ დაშთა მათგან არცერთი, გარდა ღვაწლით მოსილ ნ. ნიკოლაძისა და თითო ოროლა მათ თანამედროვეთა.

ყველა დანაშთენნი გამოგვეთხოვნენ და განისვენეს წიაღსა შინა აბრაამისათა.

სძინავს ამერ-იმერის გამაერთიანებელს აკაკისაც.

თვალნი დაუხუჭია.

მკლავნი გულზე გადუჯვარედინებია.

ხელნი, დაუღალავად მშრომელნი, დასდუნებია ჩვენს მზრუნველს.

თითნი, განუწყვეტლად საქართველოს ჰანგის მჟღერელნი ვეღარ მოძრაობენ.

აკაკი გაყუჩებულა, აკაკი დადუმებულა.

შემდგარა სიცოცხლე, რომელიც თვით სიცოცხლის განხორციელება იყოს. მომკვდარა, მაგრამ იცოცხლებს მარად ყოველის ქართველის გულში, ახალგაზდობას კი ეყოლება სახედ სამშობლოს სიყვარულისა, კაცობრიობის უკეთეს სწრაფათა ბაძვისა *).

*) ნაწილი ამ წერილისა დაიბეჭდება 4 თებ. 1915 წ. სახალხო ფურ-ცლის № 20-ში.

აქვე ვურთავ რამდენიმე მოგონებას, რომელსაც კა-ვშირი აქვს ღვთივ განსვენებულ აკაკის ბრწყინვალე ხსოვნასთან.

პირველი შეხვედრა.

ბოდიშს ვიხდი.

შორიდან გვიხდება ლაპარაკი.

მაშინ ჯერ კიდევ შიშიანობა არ დამცხრალიყო საინგი-ლოში.

ლეკების მხრივ აკლებას ყოველ წუთს მოელოდნენ. მათ უკვე დაერბიათ სოფელი სოსკანი, საცა, სხვათა შორის, გა-დაეწვათ ჯანაშვილების მეთაურის სახლკარი, დაერბიათ აქა-ურობა და ტყვითა და დავლით დაბრუნებულიყვნენ დაღის-ტანს.

კაკიდგან (კახიდგან) მდევარს ვერ მოესწრო ამ წუნკა-ლებისთვის, ანუ, აქაურულად რომ ვთქვათ, ბურკადლების-თვის.

ლეკებმა კაკ ელისენი (აღმოსავლეთი საინგილო) დაიპ-ყრეს მე-XVII საუკ. და დააარსეს აქ ილისოს სასულთნო, რო-მელიც მოისპო მხოლოდ 1884 წელს, ხოლო დასავლეთი საინგილო (ჭარ-ბელაქანი) დაიმორჩილეს იმავე საუკუნის გა-სულს და დაიარსეს ჭარის რესპუბლიკა.

მანამდე კი ჯერ ისევ ქართველობა ბატონობდა ამ ძი-რობაზე, ლაგოდეხიდგან მოკიდებული ნუხამდე. ქართველ მეფეს ჰყვანდა თავისი ხელ-ქვეითი ერისთავები თოღას (ლა-გოდეხს), ბელაქანს, მაჭს (კატეხ-ჭარს), კაკს და შაქს (ნუხს). ბელაქნის თავში დღესაც არის აქედგან აყრილ და იმერეთში გადასახლებულ წერეთლების ნასახლარები და მიწა-წყალი, რომლებსაც გაბატონებული ლეკები ისევ ძველ სახელებს

უწოდებენ: წერეთელ-ტახტას, წერეთელ-ორს (წერეთელთ-რუ) და სხ.

ლეკები დაუძინებელ მტრებად გადაექცნენ აქაურ ქარ-თველობას. წამება, ცარცვა-გლეჯა, გადაბუგვა, ტყვეთ წა-ყვანა ქართველებისა – ჩვეულებრივ ამბად გახდა მთელ ამ არე-მარეზე. უფრო სასტიკი იყო მათი მფლობელობა დასავლეთ საინგილოს, საცა ქართველობა ან სრულიად გადაგვარდა და გალეკდა, ან და ამოსწყდა და გადაშენდა. სისასტიკე ილისოს სულთანისაც მცირე არ იყო, მაგრამ მის მტარვალობამ ბევრი ვერა დააკლო-რა თავის ქვეშევრდომ ქართველებს,

რომელთაც გმირულის ბრძოლით და დიდის ვაშკაცობით დაიცვეს თავისი საკუთარი ენა, ზნე-ჩვეულება და რჯულიც კი. ამ რჯულისთვის წამებულნიც გამოჩნდნენ, მაგალ., აბრამ ხუციშვილი, რომელიც თავისს სახლში ინახავდა ვახტანგ მეფისაგან ნაბოძებ სახარებას და სხვა საეკლესიო ნივთებსა და წიგნებს. იგი სულთანმა ჩამოჰკიდა სოფელ კაკის შარაზე მაჰმადიანობის უარყოფის გამო. ამგვარადვე ეწამა ჭარელეზისაგან ზილფი ჯანაშვილი: ჭარელ ქალებმა შამფურებით დახვრიტეს ეს თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი.

საყურადღებოა, რომ ქართველების ბრძოლის ამბავი ლეკებთან არ გამოჰპარვია ინგილოთა მემატიანეს. აქაურ ხუციშვილების ოთხთავში არის შემდეგი მინაწერი თანამედროვისა:

„ქორონიკონსა ტოზ (= 1698) კახნი ჭარს მიუხტნენ
და გატეხეს და მრავალი ზიანი უყვეს და ჩვენ მოგვიკლეს
აბელ მოურავი და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთ-ხუციშვილი:
და იქმნენ მოწმეთა თანა ზიარ, თვესა მაისსა 15-სა, დღესა
კვირიაკესა“.

დიდება და პატივი ამ მებრძოლთ და თაყვანისცემა „ხუციანთ ოთხთავსა“ და ქურმუხის საყდარს! თუ არა ეს მებრძოლნი და არა ეს უდიდესი სიწმინდენი, აქაურობაში

მთელის ორასის ვერსის მანძილზე დღეს ქართველობის ხსენება აღარ იქნებოდა, თუმცა-ღა მათ ოდინდელ არსებობასა და დიდებას მოგვაგონებდა აქაურ ხევ-ხუვებში, ტყესა და ველზე ობლად დაშეთნილი, მინგრეულ-მონგრეული ციხე-ქალაქები, საყდრები, მონასტრები, სოფლები.

რათა ღირს თუწდა ისტორიკოსის თვალთა გასამსტრობად აღსართან მეფის მიერ (XI-XII ს.) ციხის ლოდზე მიწერილი: (მეფე) გამოგვიბრწყინდა, მისი ყმავე და მხლებელი ახსართან გვადიდა, რანთა და კახთა მფლობელი“.

წაიღო, წალეკა მტერმა ჩვენი სამკვიდრებელი არა აქაური მარტო, არამედ ოდესღაც აყვავებული ტაო-კლარჯეთ-ჯავახეთ-ჭანეთისა, აფხაზეთისა და ფრთებ მოჭრილს ზღაპრულ ხოხობს დაემსგავსა ფართო, მძლავრი და აყვავებული საქართველო.

ბარბაროსობა ცდილობდა პირქვე დაეცა საქართველოს მრავალ საუკუნოვანი კულტურული ნამუშავარი, მისი საკვირველი ნაშენობანი, რომელთა ნაშთების მშვენიერების წინდღესაც განცვიფრებით მუხლს იდრეკს არა ერთი სახელოვანი ხუროთ-მოძღვარი და მეცნიერი.

თითქო მიწა და ჰაერი ცოტა იყო, რომ ასე უდიერად ეპყრობოდნენ საქართველოს ერის შემოქმედებით ძალას, მის განვითარებას.

დიაღ, მაშინ ჯერ ისევ შიშიანობა იყო, ცნობილი აჯიმურთუზას აჯანყების სუსხი ტრიალებდა ჰაერში, რომ ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში მიგვაბარეს 13 ინგილო

ბავშვი. ეს იყო სწორეთ 4 აპრილს 1868 წელს.

ზაქათალა მეტისმეტად ლამაზი ქალაქია, ანუ, ვახუშტისებრ რომ ვთქვათ, ციხე ქალაქი. მაღლა ბორცვის ტაფობზე ციხეა მაგარი, მიუდგომელი, და მის ძირში ქალაქი, მერე ბაღ-ვენახები.

იგი ჭარის შუა გულშია.

ჭარი მეტად მაგარი ადგილია, კავკასიონის კალთებ შორის შეფენილი, ტყით დაბურული, უხვი ნაყოფით, წყალით, ხილით. იგი ძველადგანვე ჭარად იწოდება, ანუ ჭარ-თალად. ამგვარივე სახელი ჰქვიან ჭარ-თალს დუშეთის მაზრაში; ამას გარდა, საქართველოს ამ პირს რომ ჭარია, იმ პირს კიდევ აჭარა. თვით სახელი ზაქათალა გადამახინჯებულია თავდაპირვანდელ ზაქარ-თალიდამ.

დავბინავდით სკოლაში და შევუდექით სწავლას. ქართულს საღმრთო წერილითურთ გვასწავლიდა მღ. გრიგოლიევი. ტფილელი ქართველი იყო, კაცი მოხუცი, მრისხანე, ქართველების მოყვარე. სისასტიკე მისი იმ ზომამდე უწევდა, რომ არა თუ გაკვეთილის უცოდინარობისთვის, თვით უმნიშვნელო შეცდომისთვისაც ქვიშასა და კაკლის ნაჭუჭზე აჩოქებდა მოსწავლეს, ან და სცემდა სახაზავით შეუბრალებლად.

მე მახსოვდა ბრძნული ნათქვამი, რომ კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო, და ვცდილობდი ყოველთვის პირნათლად გამოვსულიყავი. არ დამავიწყდება შემდეგი შემთხვევა.

ერთხელ გვიბრძანა: „ვისაც ხვალ ზეპირად არ ეცოდინება „მიწყალე მე ღმერთო (მე 50-ე ფსალმ.) ვაი იმის ბრალიო“. ეს ფსალმუნი ლოცვების განყოფილებაში იყო და ისიც ხუცურად დაბეჭდილი, და ჩვენ კი ჯერ ხუცური ანბანი არ გვესწავლა.

ეს ამოტელა ფსალმუნი მოძღვრის მეორე დღის მოსალოდნელ ცემა-ტყეპის შიშის გამო, მე და ერთმა ჩემმა ამხანაგმა (მიხაკო ნურაშვილმა) ხუცური ანბანითურთ ერთს ღამეს ვისწავლეთ და ისიც მთვარის შუქზე!

პანსიონში, საცა ჩვენ ვიყავით, ჩვეულებრივ ყოველდღიურ გაკვეთილების სწავლა 9 საათზე თავდებოდა და ვახ-

შმის შემდეგ ბავშვები სამეცადინო ოთახს სტოვებდნენ და საძილეში გადადიოდნენ. ათ საათზე ყველგან ჩამი-ჩუმი აღარ იყო ხოლმე და სამეცადინო ოთახი იკეტებიდა მორიგ ლალასაგან. ვაჲ მას, ლალა რომ ჩამოივლიდა საძილეს და ლოგინში ვერ ნახავდა ვისმე. ჩვენ ეს ვიცოდით და ორივემ ჩვენი სახელმძღვანელოები შევაპარეთ საძილეში და დავწექით, თავი მოვიმძინარეთ. ლალა რომ წავიდა, ორთავე ავდექით, ჩავიცვით, გამოვიპარენით გარე-ეზოში და შევუდე-

ქით საქმეს. ბადრი მთვარე იყო და კაშკაში გაჰქონდა არე-მარეს. ხუცურ ანბანს ვადარებდით მხედრულს, სიტყვის და ფრაზის მნიშვნელობას ვტყობილობდით და ვსწავლობდით ფსალმუნს ზეპირად. რიჟრაჟდებოდა, რომ თითქმის სულ გავიზეპირეთ და საძილეში დავბრუნდით დაღალულნი, გადამწირულნი.

მთვარის შუქზე მხნეობამ ცემა-ტყეპას გადაგვარჩინა.

ერთხელ კიდევ მოგვცა გასაზეპირებლად აკაკის „სიმღერა მკის დროს“. მაშინ პირველ კლასში ვიყავით და ინგილოურ კილოზე მოლაპარაკეთ ქართული ჯერ ვერ გაგვეკვეთა. ამოტელა ლექსის დასწავლა არა თუ ჩვენ, ჩვენზე დიდებსაც გაუჭირდებოდათ. რაღა თქმა უნდა, ჩვენგან ვერც ერთმა ვერ დაისწავლა მეორე დილისათვის, მით უმეტეს, რომ მასწავლებელმა არაფერი არ აგვიხსნა წინა დღეს.

შიშით ვკანკალებდით, რომ კლასში შემობრძანდა მამა გრიგოლიევი. ბედად დღეს კვლავინდელზე მხიარულ გუნებაზე იყო. ჰკითხა ერთ მოწაფეს:

– ლექსის ბოლოში რა სწერია?

– ჰაკაკი, მიუგო.

– რაო? რა არის ჰაკაკი?

– ჰაკაკი ხეა.

– გინახავს შენ?

– როგორ არა. კაკში არის სქელი დიდი ჰაკაკი, სანე-

ბაზე დგას, *) იქ ბევრჯელ გვითამაშნია, იქ სანთელ-საკმლით იხსენიებენ წინაპრებს, ძველ გმირებს.

– გეტყობა, შენ თამაშობა უფრო გემარჯვება, ვიდრე სწავლა. ქართული იცი?

– დიაღ!

– „გავლესოთ, ძმებო, ნამგალი“. რას შვრებიან ნამგლით, ?

– ნამგლით ჩვენში ბალახს თიბენ, შანგვლენ, კაჭვენ.

– ყანას რითი მკიან?

– ღულით.

– ღული როგორია?

– ნამგალს გავს, მოკბილულია.

– ჰოოპუნას როგორ აგუგუნებენ?

– ერთი მოსთქვამს, მეორენი აყოლებენ.

– ვინ არის იმერელი?

– იმერელი ქართველია, ბაში-აჩუღი, რადგან, როგორც ამბობენ, თავშიშველა დადიან შინ და გარეთ.

– დაჯექი. ყური დამიგდეთ. აკაკი ჰაკაკი კი არ არის, კაცია, ქართველების მწერალი. ჯერ ახალგაზდაა, მაღალი, ლამაზი, მხიარული, ტკბილად მოლაპარაკე, დიდი თავადიშვილი. მე ის ილია ჭავჭავაძისას გავიცანი. იქ იყვნენ მაშინ აგრეთვე მწერლები მესხი, გიორგი წერეთელი, ნიკოლაძე, გოგებაშვილი, ცხვეთაძე და სხვები. აკაკი იმერეთიდამაა,

საჩხერელი წერეთელი. ჯერ ისევ წმინდა ნინო ამბობდა, საქართველოში სამკალი ფრიად არს და მომკალი ცოტაო. ახლა ეს ჩვენი აკაკიც ამ სიმღერაში გვეუბნება: საქმე ბევრია. აბა, ბიჭებო, ვინც ვაშკაცები ხართ, ვისაც გიყვართ

*) სანებას მაღლა გორიდამ გადმოსცქერის არჩილ მეფის მიერ მე-VII – VIII საუკუნ. აშენებული კასრის-საყდარი, რომლის ეზოში ჩადგმული ქვევრი ათას ჩაფიანია.

ჩვენი ლამაზი საქართველო, მოდითო, მოგროვდითო, ნამგლები გავლესოთო და შევუდგეთ გულმხურვალედ საერთო საქმეს, თან ვიმუშაოთო და თან მწყობრად ჰოოპუნა დავაგუგუნოთო, ნუ დავზოგავთ ჩვენს ჯანსა და ღონეს სამშობლოს წარმატებისათვის, მის მტერს პარპაშობას ნუ შევარჩენო, ერთგულად თუ ვიმუშავებთ, „საღამომდის", ე. ი. ჩვენს სიბერემდის, ბევრს კარგ საქმეს მოვასწრებთო. იგი გვამხნევებს და გვეუბნება:

„ჰოოპუნა, ავხე ავხე,
ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე
და, თუ შენ მკაში ჩამოგრჩე,
ქალაჩუნა დამიძახე“!

საერთო საქმეზე ამბობს: ქალაჩუნაა ის კაციო, რომელიც ამ საერთო საქმეს გაურბის და ტოლ-ამხანაგს ღალატობსო. ისწავლეთ, შვილებო, ისწავლეთ ბეჯითად, რომ თქვენც გამოადგეთ ჩვენს დაბეჩავებულ ქვეყანას, რომ თქვენც მხარი დაუჭიროთ აკაკის, ჭავჭავაძეს და სხვა მებრძოლთ და მოჭირნახულეთ. აქ რომ კარგად ისწავლით, მერე ტფილისში წახვალთ და აკაკის ნახვასაც მოესწრებით“...

დაირეკა. გაკვეთილი გათავდა, მასწავლებელი წავიდა. ჩვენ კი ერთხმად წამოვიძახეთ:

– ნეტა ჩვენც ვნახავთ აკაკის?

1872 წელს, ზაქათალის სკოლის დასრულების შემდეგ, ჩემმა ბიძაშვილმა, ცნობილმა დიმიტრი ჯანაშვილმა ჩამომიყვანა ქალაქს სემინარიაში მისაცემად. არ მიღებდნენ, როგორც საეროს, საეროში ნასწავლს, მაგრამ ამ სასწავლებლის მასწავლებელნი ნიკო ცხვეთაძე, თომა ტურიაშვილი, პეტრე კონჭოშვილი (აწ ეპისკოპოსი), გიორგი იოსელიანი დამეხმარნენ და მიმიღეს.

საშინელი სიღარიბე სუფევდა მაშინ სემინარიელთა შორის, ისეთი სიღარიბე, რომ, ხშირად, ზამთრის სუსხშიაც მო-

წაფენი აბანოში დაიარებოდნენ ფეხშიშველა, ზაფხულის გაცრეცილ ხალათებით. საჭმლის სიდუხჭირეს ხომ ნუღარ იკითხავთ. სოფლელი მას ვერ ეკარებოდა და, თუ საკუთარი გროშებით არ იყიდდა, მუდამ ნახევრად მშიერი რჩე-

ბოდა.

მრავალნი და მათ შორის მეც ყოველსავე გაჭირებას ვიტანდით, რადგან ვიცოდით „სწავლის ძირი მწარე არისო, კენწეროში გატკბილდებისო". სწავლა, სწავლა, კელავ სწავლა – ეს იყო ჩვენი ერთად ერთი საქმე. არ ვიშიშვი გადაჭარბებისა, რომ ვთქვა – დღე-ღამე 5-6 საათს ძილს ვანდომებდით და დანარჩენს სწავლას. სემინარიის ბიბლიოთეკა სავსე იყო მეტად კარგ წიგნებით. წაუკითხავი თითქმის არც ერთი არ გადამრჩა. სადღაც ვიშოვე აგრეთვე პლ. იოსელიანის მიერ შედგენილი საეკლესიო ისტორია, რომელიც თითქმის გავიზეპირე. მერე ჩამივარდა ხელში დუბროვინის, გალავინის, ბარათაშვილის და სხ. ისტორიული თხზულებები, შლოსერის, მილლის, გიუგოს, დრეპერის ნაწერები და ბევრი ამგვარი წიგნები. ყველას ხალისიანად ვსწავლობდი, არა თუ ვკითხულობდი. წაკითხულს მე თვითონვე ჩემს თავს ვუამბობდი ხოლმე მოყოლით, რომ გულში კარგა ჩამჭდეოდა და დამხსოვებოდა, ამას გარდა, ქართულ გაზეთს არასდროს არ ვიშორებდი ჯიბე უბიდან.

იკითხავთ, ვინ მაძლევდა გაზეთს მე, დიდს სიღარიბეში მყოფ სემინარიელს, მეტადრე მაშინ, როდესაც ის იყო ქართული გაზეთის კითხვა აკრძალეს.

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გაგცემდეთ, საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი.

სოფლიდამ ტფილისში რომ ჩამოვედი, პირველი კაცი, რომელიც მე აქ გავიცანი, იყო „დროების“ რედაკტორი სერგეი მესხი, თვით პირველი ღამე ამ პატიოსან და მოჭირნახულე მოღვაწისას გავათიე. ეს ასე იყო.

სხვა და სხვა მიზეზების გამო სოფელში ძალიან დაგვიგვიანდა. ჩემს ბიძაშვილს, რომელიც ზაქათალაში მასწავლებლობდა, არა სცალოდა, თუმცა ისიც გულით მოისწრაფოდა ქალაქისკენ, რომ მესხთან მოელაპარაკნა თავის ისტორიულ წერილების დაბეჭდვის თაობაზე. ბოლოს საქმეები მოვაგვარეთ და 5 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე, გამოვემგზავრენით. საშინელი წვიმების გამო ჭარის ხევები გაცოფებულიყვნენ და გზა-კვალი მოეცვათ, მეეტლემ წყლის ნაპირს შეგვაჩერა და გვითხრა: „ეს აღელვებული წყალი დაგვახრჩობსო, ვერ გავივლით მშვიდობიანოთო“. საჩუქარი აღვუთქვით და გავაბედვინეთ ეტლის დაძვრა.

ეტლი მოიტაცა წყალმა, მაგრამ ვერ გადააბრუნა. წაგვიღო შორს, შორს და ის იყო ერთ მიწურულში უნდა შევეცურებინეთ, რომ მეორე ნაპირიდამ გადმოწოლილ ხის ტოტებს მოვეჭიდენით და დიდის ვაი-ვაგლახით სამშვიდობოს გავედით. დასველებულებს მთელი ღამე არ გვიძინია. თენდებოდა, რომ დედოფლის წყაროს მივედით, ცოტა შევისვენეთ და ისევ გზას გავუდექით. მეეტლეები ყოჩაღი ბიჭები შეგვხვდნენ, სულ მკლავ და ფეხ მარდი ქიზიყელები. 9 საათი

იყო, რომ შორიდგან გამოჩნდა თბილი ქალაქი, რომლის არე-მარე, უთვალავ ლამპრებით გაშუქებული, ჰგავდა ვარსკვლავებით მოჭედილ კრიალა ცას. მოვაწიეთ და დროების რედაქციაში ჩამოვხტით. თვით სერგეი მესხმა მიგვიღო, ჩვმი ბიძაშვილის – დიმიტრის დიდი მეგობარი იყო. პატარა ინგილო რომ მნახა, სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ მომალერსებოდა. მეტად შეწუხდა ჭარის ხევის ტალღებისაგან ჩვენი წალეკის ამბავი რომ ვუამბეთ. მაცივდებოდა, ვრთი თქვენს კილოზე დამელაპარაკეო, ჩემს კითხვებზე თქვენებურად მომიგეო, და დაიწყო:

– ეხლა სად ხარ?

– თიფლიზში, ვუპასუხე.

– საიდგან მოხველით?

– კაკით.

– რათ?

– სალოცელა (სასწავლოდ)

– რა გინდა გამოხვიდე?

– ღდელ

– რათ გინდა ღვდლობა?

– ჩონ ხალხს ვასწავლი.

– არ გინდა მწერალი იყო?

– რაზე არა, მინ (მინა, მინდა)

– ეცადე, კარგი კაცი გამოხვიდე. თქვენი ქვეყნის არსებობა ჩვენ არც კი ვიცოდით და ამ ჩემმა მეგობარმა დიმიტრიმ შეგვატყობინა, რომ საინგილოში ბევრი ქართველობა არისო. დღეიდან შენც ჩემი მეგობარი იქნები, იარე ჩვენსა და ისარგებლე წიგნებითა და გაზეთებით, „დროება" ხომ შენთვის ფეშქაშია.

განუსაზღვრელად გამახარა ამ მამაშვილურმა მოპყრობამ და იმედი დამესახა გულში, როშ ამ ჩემთვის უცხო ქალაქში გულშემატკივარი გამოჩნდა, თუმცა კი ძალიან გამიკვირდა ქართული გაზეთის რედაქტორისაგან საინგილოს არ ცნობა, მის არსებობის არ ცოდნა. გავიფიქრე ჩემთვის: ნუ თუ ქართველ საზოგადოებას გამოეპარა ისეთი, შედარებით, დიდი, ამბავი ჩვენს ცხოვრებაში, რომ ამ ოცი წლის წინად (1850 წ.) მამა ჩემმა ივანე ბულუღაშვილმა და კიდევ ექვსმა მათმა ამხანაგმა ტფილისში ჩამოიყვანეს 37 ინგილო, მათ შორის ეს დიმიტრიც (ჯანაშვილი), და მონათლეს სიონის ტაძარში და მერე დაბრუნდნენ სამშობლოში და მონათლეს ყველა დანაშთენი ინგილოებიო; ნუ თუ ეს ამბავი ისეთი უმნიშვნელო იყო, რომ ქართულმა მწერლობამ არ აღნიშნა და თვით საზოგადოებამაც დაივიწყაო...

ჩემი ბიძაშვილი რომ დაბრუნდა ჭარს, მე ხშირად და-

ვიარებოდი „დროების“ რედაქციაში და ყოველგვარ თანა-
გრძნობას ვპოვებდი უკეთილშობილეს მესხის მხრივ და აგ-
რეთვე მის სათნო ოჯახისა.

ერთხელ ჩვეულებისამებრ რომ მოველი რედაქციაში,
რომელიც მაშინ მოთავსებული იყო სწორეთ იმ სადგომში,
საცა დღეს ილია წინამძღვარიშვილის კანტორაა, ერევნის
მოედანზე, თვითონ მესხი შინ არ დამხვდა და არც სხვა ვი-
ნმე იყო, რომ გაზეთი გამომერთმია. დავბრუნდი დაღონე-
ბული და ის იყო კიბეზე ჩამოვიარე, რომ კარებში შემხვდა
მაღალ-მაღალი, მეტის-მეტად მოხდენილი ახოვანი კაცი. ერთ-
ბაშად ვერ ვიცან დაღონებულმა, თვით მესხად მივიჩნიე და
მივესალმე, როგორც „დროების“ რედაქტორს; გამიღიმა,
მითხრა: „შენ ვერ მიცან, მე კი გიცან. მესხი კი არა, მე
აკაკი ვარ“. შემრცხვა და ჩემდა გამოწვდილ ხელს ორივე ხე-
ლი მივაგებე. მომეალერსა, მომესაყვარლა ჩვეულებრივ
აკაკისებრ სიყვარულით, რედაქციაში შემიპატიჟა, გაზეთი
მომცა, დამარიგა და გამომისტუმრა. ჩემს სიხარულს საზღვარი
აღარა ჰქონდა. მოველ სემინარიაში და იმავ დღეს მივსწერე
ერთ ჩემ ნაამხანაგარ ინგილოს შემდეგი.

„... ვნახე, ვინც გვენატრებოდა ვნახე სწორეთ ჩვენი
მწერალი აკაკი წერეთელი, „ჰოოპუნას“ გამომთქმელი. გახ-
სოვს, მღვდელი გრიგოლიევი რომ გვასწავლიდა ჭარში მის
დაწერილს – „სიმღერა მკის დროს“. სწორეთ ის ხელი ჩამო-
მართო, რომლითაც ეს შესანიშნავი მოწოდება დასწერა, და
თანაც მითხრა: „კარგა ისწავლე, საქართველოს მედგარი და
მშრომელი ხალხი გვაკლიაო“. შეიტყე, ამან უკვე ჩარგო
არა ისეთი ჰაკაკი, როგორიც მანდ კაკში დიდებულად გა-
დაბორჯღილა გმირთა სახსენებელ სანებაზე, არამედ ისეთი
მშვენიერი სიტყვა-კაზმული ხე-ცხოვრებისა, რომლის ფესვე-
ბი მთელს საქართველოს ამპირ-იმპირ უწვდება და სამარი-
დისოა“.

უნდა დავბეჭდოთ“. გავიდა ხანი და კიდევ შემოიარა და
მითხრა: „მთავარმართებლის შერემეტიევის მეუღლეს ვახლდი
და შენი და შენის პალეოგრაფიულ ტაბულების ნახვა მო-
ინდომა. წავიდეთო“. წავედით თავად ჩოლაყაშვილის მეუღ-
ლისას და იქიდგან მასთან ერთად შერემეტევისას. საკმაო
ხალხი შეკრებილიყო. დიასახლისმა გვერდს დამისვა და ღამის
პირველ საათამდე შინჯა და გატაცებით ისმინა ახსნა-გან-
მარტება, მეტად იამა, როდესაც თამარ მეფის ხელ-წე-
რილი ვაჩვენე. წაიკითხეო. წავიკითხე: „მტკიცე ყოს ღმერ-
თმან შეუცვალებელად“. რას ნიშნავსო. გადაუთარგმნე. მაშ
ეგ ყოფილაო ისევ ის, რაც ჩვენი იმპერატორების: „Быть по-
сему“. მთავარმართებლის მეუღლე გზა-და-გზა ისტორიულ
ამბებსაც მკითხავდა, უფრო კი საბას მონასტრისას. შუაღამე

გადასულიყო, რომ გამოვეთხოვენით განათლებულს დიასახ-
ლისს და მის ვაჟს. დიდი მადლობა გადაგვიხადეს შრომის-
თვის. აკაკის ეგონა ყოველი გაგებული ქართველი გამოი-
ღებდა წვლილს მის წინაპრების ხელწერილების და, საზო-
გადოდ, ქართულ წერის ისტორიის (პალეოგრ. ტაბულების)
დასაბეჭდად, მაგრამ არ გაუმართლდა იმედი. მისგან ოციოდე
ნიმუში მხოლოთ დავბეჭდე ჩემს „Царица Тамара“-ს და-
მატებაში..

მ. ჯანაშვილი

ალექსანდრე გრიგორის ძე უგუხოვის გამოცემა

აბდულ-მესიანი ..... 25 კაპ.

მესხეთი ..... 10 კაპ.

ქართული გრამატიკა ..... 50 კაპ.

საქართველოს ისტორია ..... 1 მან.

გიორგი სააკაძე ..... 25 კაპ.

ივან ბაბა ბულულაშვილი ..... 10 კაპ.

მზე და აკაკი ..... 10 კაპ.